




„გახსოვდეს ზისი გოროსი ხანი!“

# ბვარი და ცრადიცია

## 6 (33)

ივნი 2016 წ.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს გაზეთი



## ზურაბ ჭუმბურიძე - 90

### ბატონო ზურაბ!

საყოველთაოდ ცნობილია თქვენი ღვაწლი ქართული მეცნიერების წინაშე.

თქვენს ნაშრომებზე მრავალი თაობა აღიზარდა, ბევრი წიგნი სამაგიდლო წიგნად იქცა. ამიტომ ამ თემზე უხერხულია კიდევ ერთხელ სატყუარა. ჩვენ თბრალად თბილად მოგილოცავთ.

ოთხმოცდაათი წელი ჯერ კიდევ არ არის ასი. დაე ეს თარიღი ყოფილიყოს თქვენი სიჭარბეში შესვლის დასაწყისი.

თქვენ ყოველთვის მასწავლებლების დამჯერე და მის კვალზე მავალი ბრძანდებოლით, მამ ამჯერადაც აიღეთ მავალითი თქვენი დიდი მასწავლებლის აკაკი შანიძესაგან და გადამბიჯეთ თამამად და შემართებით ას წელს.

ვისურვებთ, რომ თქვენთან ერთად გვემეიმოს ასი წლის იუბილე.

ბატონო ზურაბ, გილოცავთ ოთხმოცდაათ წელს. კიდევ დიდხანს გეღვაწოთ თუფლის, ერისა და მამულის სადიდებლად და საკეთილდღეოდ.

მე რა მჭვია, შენ რა გჭვია, მას რა ჭჭვია,  
ეპიე და წიგნად ჭკინბე,  
კიდევ დიდხანს, კიდევ დიდხანს ეპიებდე,  
ჩვენო ზურაბ ჭუმბურიძე.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირი „გვარი და გვარიშვილობის“ გაჯილდოვებთ სანჯატიო მედლით გვარმცოდნეობაში და საგვარეულო მოძრაობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირი „გვარი და გვარიშვილობის“, სრულიად საქართველოს გვარების

ღრმად პატივცემულო ბატონო ზურაბ! ჭუმბურიძეთა საგვარეულოთა კავშირი და მისი გამგეობა გულითადად გილოცავთ დაბადებიდან 90 წლის იუბილეს. თქვენ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, თვალსაჩინო ენათმეცნიერმა, ლიტერატურათმცოდნემ, კრიტიკოსმა, პედაგოგმა, მწერალმა ღირსეულად იღვანეთ მშობლიური ქვეყნის, მისი ანმყოსა და მომავლის საკეთილდღეოდ.

თქვენ ბრძანდებით ქართული სიტყვისა და მწერლობის უანგარო, მუხლჩაუხრელი ქომაგი, ახალგაზრდობის აღმზრდელი, სამეცნიერო პედაგოგიური საზოგადოების დამსახურებული წარმომადგენელი. თქვენს ნაშრომებს: „დედაენა ქართული“, „როგორ გაჩნდა სიტყვა“, „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“ დიდი ინტერესით ეცნობიან სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, ღრმა პატივისცემით მოგიხსენიებენ. წიგნით კი – „რა გქვია შენ?“ თქვენ მრავალი ოჯახის ნათლიაც გახდით.

აღიარებულია თქვენი გამოკვლევები ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის, გრამატიკის, დიალექტოლოგიის, ტოპონიმიკის, მხატვრული თარგმნის, საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე.

ბატონო ზურაბ, თქვენ დღესაც მისაბაძი ენერგიით აგრძელებთ თქვენს სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ჭუმბურიძეთა საგვარეულო ღირსეულად ამყობს თქვენით, გამორჩენილი პიროვნებით, მეცნიერით, მოქალაქითა და ნათესავით.

თქვენთან ერთად, ღირსშესანიშნავ იუბილეს ვულოცავთ თქვენს ძვირფას მეუღლეს, უკეთილშობილეს ქალბატონს, პროფესორ ლეილა ნიკოლაიშვილს, ქალიშვილებს, პროფესორებს – თამარსა და ნინოს, სიძეს ასევე პროფესორს რამაზ ქურდაძეს, შვილიშვილებს: ზურიკოს, გოგლიკოს, ნუცასა და ლელიკოს.

კიდევ მრავალ წელს, ბატონო ზურაბ!

ჭუმბურიძეთა საგვარეულოთა კავშირისა და გამგეობის სახელით:  
მამია, ოთარი, იოსებ, ბესიკ, თემურ, რობერტი, დათო, რამინ, თენგიზ, გურამ, გოგიტა, რუსუდან, ხათუნა, რეზიკო, გელა, ქართლოს, კახა (უფროსი), პეტრე, ირაკლი, სოსო, თამუნა, ანა, ავთო, შადიმან, ზვიადი, ჯემალ, რეზიკო, გიორგი, ლავრენტი, ბათუ, ზაზა, კახა (უმცროსი)  
ჭუმბურიძეები



ფოტოზე მარცხნიდან: პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე, საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობის თავმჯდომარე ლევან ფრუიძე, თავმჯდომარის მოადგილეები: - ვაჟა ნადირაშვილი, ავთანდილ არაბული



# სამახსოვრო გასაუბრება აკადემიკოს ზურაბ ჩუმბურაძესთან

ბატონო ზურაბ, ქართული მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწე ბრძანდებით, ერის სინდისი, პატიოსნების და კაცურ-კაცობის განსახიერება. სრულიად საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ სახელით გილოცავთ დაბადებიდან 90 წლისთავს. თანამედროვე საქართველოში დღეს მოქმედი 25 ათასი გვარი ერთხმად გალიარებთ საგვარეულო მოძრაობის ამავდარად, თქვენმა ბრწყინვალე ნაშრომებმა ცხადი გახადა, რომ დღეს მხოლოდ და მხოლოდ სწორად ორგანიზებულ გვარებს შეუძლია ქვეყნის გადარჩენა, ქართველი ერის დემოგრაფიული კოლაფსიდან გამოყვანა. სხვა ძალა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. მკვიდრმა მოსახლეობამ, განურჩევლად ეროვნებისა, მკრეხელთაგან უნდა იხსნას საკუთარი საცხოვრისი. მკრეხელნი საკმაოზე ბევრი არიან. შაგრენის ტყავად ქცეული ჩვენი მრავლათანჯული სამშობლო ბითუმად და ნაჭერ-ნაჭერ იყიდება.

დასაბამიდან ცნობილია, რომ საქართველოში არც ერთი მტკაველი მინა არ არის თავისუფალი, ის რომელიმე გვარს ეკუთვნის. სამშობლოს მადლიანი მინა საუფლო და ღვთისმშობლის კალთაგადაფარებული განსაცდელშია, ყველა სახელმწიფო ორგანო, რომელიც მინაზე ზრუნავდა, გაუქმებულია, 2005 წლიდან სტატისტიკური

მონაცემებიც მიუწვდომელია, ან არ არსებობს. ქვეყანას არ გააჩნია მინის კოდექსი, მამული საფრთხეშია, მიუხედავად იმისა, რომ ამ ანარქიის თავის დაღწევისათვის თვით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II პირადად ზრუნავს მან ამ ტკივნეული საკითხის მოსაგვარებლად მრავალი ქადაგება ეპისტოლე გამოაქვეყნა,

ჩვენი საყოველთაო სატკივარია მცირე გვარების, თქვენ რომ „ნამღვეი გვარები“ უწოდეთ, სავალალო ბედი. ათასობით გვარი ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა, 20 კაცი რომ დარჩა გვარიდან, ისინი აღრიცხულნიც არ არიან. ისე ქრებიან გვარები, ვერც ვაცნობიერებთ, ეს კი ქართველი ერის არსებობას უმძიმეს საფრთხეს უქმნის...

როგორც კი დამოუკიდებლობას მივალნიეთ, უპირველესი საზრუნავი იყო ბოლშევიკური ანომალიიდან ქართული, ეროვნული ცხოვრების წესს დავბრუნებოდით, ილია ჭავჭავაძის და ივანე ჯავახიშვილის მოძღვრება ახალი, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი საქართველოს აშენებისთვის ამომწურავად გაგვეთვალისწინებინა, მაგრამ ბნელში ხელებს ვაცეცებთ. ილიას სურათი რამდენიმე ჩინოვნიკის კბანეტს ამშვენებს, მოძღვრებაზე კი წარმოდგენა არა აქვთ, ხოლო სულმნათი ივანე ჯავახიშვილის სახელი კი

ბევრმა არც იცის... ბატონო ზურაბ, დღედაღამ შრომაში დავებრდით, ჩვენი ანაზღაურება ლუკმა-პურის შოვნას არ გამოვრებია, ხელფასზე აღარას ვამბობს. ამჟამად რასაც მინისტრები პრემიის და ე. წ. დანამატის სახით იღებენ, ჩვენი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ჯამაგირის სახით არ მიგვიღია... თუმცა ბედს არ ვემდურით, ყველა გაჭირვებას იობის მოთმინებით ვიტანთ და ნებისმიერ ჩინოვნიკზე ბედნიერად ვგრძნობთ თავს... გულისტკივილი და სათქმელი კიდეც ბევრი დარჩა, მაგრამ ზღვა კოვზით არ დაილევა, იქნებ ინებოს უფალმა და უკეთეს საქართველოს მოვესწროთ!

მადლობა უფალს, რომ ბიბლიურ ასაკს მივალნიეთ... გულწრფელად მენანება ჩვენი თანამემამულეები, რომელთაც გაჭირვებას ვერ გაუძლეს და მრავალმა მათგანმა უცხოეთს მიაშურა, რაც საქართველოს ისტორიაში უმაგალითო მოვლენაა. ქართველს ტყვედ თუ წაიყვანდნენ, თორემ ილიასეული მკვიდრობის დულაბით ის მშობლიურ მინას არ წყდებოდა... დღეს სგანგაშო ვითარებაა. თითოეულმა გვარმა ყველა შესაძლებელი უნდა გააკეთოს, რათა დედა სამშობლო დედინაცვლად არ გვექცეს.

ლევან ფრუიძე  
19 ივნისი, 2016 წ.

## საინფორმაციო ქრონიკა



2016 წლის 6 ივნისს გაიმართა გვარების წინამძღოლთა შეკრება. შეკრების დღის წესრიგი იყო სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის წესდების პროექტის წარდგენა. სხდომას თავმჯდომარეობდა თენგიზ მაისურაძე, მდივანი ხათუნა სხირტლაძე.

წესდების პროექტი წარადგინა დარბაზის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვაჟა ნადირაშვილმა.

სიტყვით გამოვიდნენ: საბჭოს თავმჯდომარე ლევან ფრუიძე, საბჭოს წევრი რევაზ ბარამიძე.


გადაწყდა, წესდების პროექტზე მსჯელობა გამართულიყო შემდეგ შეკრებებზე, ასევე გადაწყდა ოქტომბრის თვეში ჩატარდეს დარბაზის რიგგარეშე კრება, სადაც აირჩევა საბჭოს ახალი შემადგენლობა.



წესდების პროექტი წარადგინა დარბაზის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვაჟა ნადირაშვილმა.

სიტყვით გამოვიდნენ: საბჭოს თავმჯდომარე ლევან ფრუიძე, საბჭოს წევრი რევაზ ბარამიძე.

გადაწყდა, წესდების პროექტზე მსჯელობა გამართულიყო შემდეგ შეკრებებზე, ასევე გადაწყდა ოქტომბრის თვეში ჩატარდეს დარბაზის რიგგარეშე კრება, სადაც აირჩევა საბჭოს ახალი შემადგენლობა.



# ბასარიები



2016 წლის 22 მაისს მათ ილია მეორემ დალოცა წმინდა ნიკოლოზის დღესასწაულზე ღვთის შეწევნით და ძალით დაილოცა და ეკურთხა ბასარიების გვარი. გვარი წარსდგა დასალოცად ილორის წმინდა გიორგის ხატი. ხატი აკურთხა მამა ანდრია, რომელიც იყო ხელმძღვანელი გვარის კურთხევისა და დალოცვის საქმეში. ხოლო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დალოცა გვარი სამების საკათედრო ტაძარში. ხატი დაინერა ბასარიების ერთობლივი ძალით. დალოცვის დღიდან ხატი ითვლება ბასარიების გვარის მფარველად და მეოხად ღვთის წინაშე. ხატი ოჯახიდან ოჯახში დაბრუნდება ჩაუქრობელი კანდელთან ერთად. თაობები შეიცვლება, მაგრამ ხატი მაინც იმოგზაურებს ოჯახებში. დალოცვაზე თავი მოიყარეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა ბასარიების გვარის წარმომადგენლებმა. მათ შორის იყვნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებნიც. 22 მაისი იქნება გვარის ერთობისა და ძლიერების დღე. ამ დღეს შეიკრიბება და ილორის წმინდა გიორგისა და წმინდა ნიკოლოზს შეავედრებენ გვარისა და შთამომავლობის სიძლიერეს. დაინერება ამ ხატის ასლი, რომელიც წაბრძანდება აფხაზეთში, რომელიც მოივლის იქ მცხოვრებ ბასარიების ოჯახებს. ბასარიების დალოცვა და კურთხევა ყოფილიყო გვარის წინსვლის, გაძლიერების, სიყვარულის და რწმენის მომტანი. ამინ!



# სამურზაყანოელი ბასარიები

გალის რაიონის, ისტორიული სამურზაყანო, აფხაზეთის ერთ-ერთი უმდიდრესი და ულამაზესი მხარეა. სამურზაყანოს ადმინისტრაციული ცენტრი 1840 წლამდე გური ბედი, დღევანდელი აგუბედია ყოფილა, 1840 წელს ცენტრი სოფელ ოქუშში, ხოლო 1906 წელს გალში გადმოუტანიათ.

წინაპართა გადმოცემით, ამ ტერიტორიაზე, კერძოდ, ს. პირველ გალში, ბასარიას ერთი ოჯახი აფხაზეთის ერთ-ერთი ულამაზესი მხრიდან, ბზიფის ხეობიდან გადმოსახლებულა, მათ შესძენიათ სამი ვაჟიშვილი: ერთი პირველ გალში დარჩენილა, მეორე სოფელ რეჩხში დასახლებულა, ხოლო მესამე სოფელ ხუმუშქურში. ამ სოფლებიდან გავრცელებულან ბასარიები მთელი გალის რაიონის ტერიტორიაზე.

გალის უხუცესი მცხოვრებლის, პლატონ ჭანტურიას მოგონებებიდან ირკვევა, რომ დღევანდელი გალის პირველ მცხოვრებ ათ გვარს შორის ყოფილან ბასარიებიც.

ქართველი გვარების მკვლევარების ზოგიერთ ნაშრომში გვარი ბასარია არ მოიხსენიება (ილია მაისურაძე). მკვლევარი იაკობ ახუაშვილი თვლის, რომ გვარი ბასარია ბესარიონისგან მომდინარეობს, რადგანაც გვარი ბასარიას ფუძეა – ბასა (ბასარია), ხოლო ბასა – ბესარიონის კნინობითი ფორმაა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2015 წლის 18 აგვისტოს მონაცემებით სულ რეგისტრირებულია 632 ბასარიას გვარის ადამიანი. (ეს მონაცემები 1997 წელს შეადგენდა 742 ადამიანს).

სამურზაყანოელი ბასარიები თავისუფალი გლეხები იყვნენ, მართლმადიდებელი ქრისტიანები, ვალდებულებას მხოლოდ ეკლესიის წინაშე გრძნობდნენ.

ამ გვარის წარმატებულ წარმომადგენლებს შორის ყოველთვის ასახელებენ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრს, საქართველოს დამსახურებულ ეკონომისტს – რევაზ ვლადიმერის ძე ბასარიას. იგი დაიბადა 1932 წელს, ქ. გალში. დაამთავრა მოსკოვის საფინანსო ინსტიტუტი, მიღებული აქვს ასევე, უმაღლესი პოლიტიკური გამათლება. მუშაობდა სახელმწიფო ბანკის სისტემაში, ათი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს სტატისტიკის სამმართველოს, შემდგომში, სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტს, 1991-1996 წლებში მუშაობდა ფინანსთა სამინისტროში, სოციალურ-ეკონომიკური ინფორ-

მაციის კომიტეტის ფინანსებისა და სტატისტიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ. დღესაც აგრძელებს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. მისი ვაჟიშვილი ვლადიმერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატია. ქალიშვილი ლელა – ეკონომისტი, ხოლო დიანა – ჟურნალისტი.

ხუმუშქურის ბასარიებიდან აღსანიშნავია ბატონი ბორის ბასარიას ისტორია. ბორის სამსონის (გუგუ) ძე დაიბადა 1901 წლის 20 მაისს სოფელ ხუმუშქურში, დაწყებითი განათლება მიიღო სოფლის საეკლესიო სამრევლო სკოლაში. ნიჭიერმა სწავლა გააგრძელა ოჩამჩირეში. შემდეგ გუდაუთის გიმნაზიაში განაგრძო სწავლა სადაც რუსულ ენასთან ერთად დაეუფლა გერმანულ ენას.

1920 წელს აფხაზეთის მთავრობამ იგი მიავლინა თბილისის ახლად გახსნილ უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე – პარალელურად მუშაობდა ფინანსთა სახალხო კომისარიატში. შემდგომში მუშაობა დაიწყო თბილისის აბრეშუმ-საქსოვ ფაბრიკაში მთავარ ეკონომისტად.

1946 წლიდან მუშაობს ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში უფროს ეკონომისტად. ხოლო შემდგომ აბრეშუმის საწარმოს გენერალური დირექტორის მოადგილედ.

აღსანიშნავია, რომ კომუნისტური რეჟიმის მიერ ის ორჯერ იყო გადასახლებული, პირველად 1936 წელს. 10 წლით კვლავ დააპატიმრეს მისი პოლიტიკური შეხედულების გამო და გაათავისუფლეს სტალინის გარდაცვალების შემდეგ.

გალის რაიონის ინტელიგენციისათვის ყოველთვის ზეიმს წარმოადგენდა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტის არნოლდ გერასიმეს ძე ბასარიას ჩამოსვლა. იგი მუშაობდა რაიონის სხვადასხვა სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად. მან თვითონ დააპროექტა და ააშენა მდინარე ერისწყალზე სოფელ საბერიოში მცირე ელექტროსადგური. „ნარინჯოვანის“ საშუალო სკოლაში მუშაობის დროს მის მიერ მოწყობილი ფიზიკის ლაბორატორია ერთ-ერთი საუკეთესო იყო მთელს რესპუბლიკაში. დისერტაცია დაიცვა 1975 წელს, დოცენტის წოდება მიენიჭა 1982 წელს. გამოშვებული ჰქონდა ორმოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის პროფესორი, თენგიზ მელენტის ძე ბასარია დაიბადა 1959 წლის 15

აგვისტოს, გალის რაიონის სოფელ ქვემო-ბარლებში. 1989 წელს წარჩინებით დაამთავრა აჩიგვარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, 1989 წელს მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია, 1989-1999 წლებში მუშაობდა მოსკოვის კრასნოპრესნენსკის ხილ-ბოსტნეულის ბაზრის მთავარ ტექნოლოგად. 1999 წლიდან სამუშაოდ გადადის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელად. კითხულობს ლექციებს მეხილეობა, მებოსტნეობის ფაკულტეტზე. გამოშვებული აქვს ორმოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. ამჟამად, ოჯახთან ერთად ცხოვრობს თბილისში და აქ აგრძელებს საქმიანობას

ვალერი ვლადიმერის ძე ბასარიამ დაამთავრა ლენინგრადის სავაჭრო ინსტიტუტი, შემდგომში მარკეტინგის ინსტიტუტი. მუშაობდა მინისტრთა საბჭოში, იყო საქართველოს ელჩი შუააზიის არასამთავრობო ორგანიზაციებში.

პირველ გალელი გერასიმე ბასარიას ინიციატივით აშენდა დაწყებითი სკოლა. სხვადასხვა სკოლის დირექტორებად მუშაობდნენ: გარი ბორის ძე, მირო, შალვა (მაქსიმე) ბასარიები. სასწავლო ნაწილის გამგედ და დირექტორის მოადგილეებად მუშაობდნენ: შალვა ჭიგოს ძე, ნანული ტერენტის ასული, თამაზ ირაკლის ძე, მიმოზა მიროს ასული ბასარიები. ბევრ მათგანს აქვს საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული პედაგოგის, სახალხო განათლების წარჩინებულის წოდება.

თამაზ ბასარია ქ. სანკტ-პეტერბურგის ქართული საშუალო სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელია. იგი არჩეული იქნა ქართული სათვისტომოს „ივერიის“ გამგეობის წევრად და კულტურულ-საგანმანათლებლო კლუბის პრეზიდენტად.

ვიოლა მიროს ასული ბასარია, ქართულ ენა-სა და ლიტერატურას ასწავლის ქ. სანკტ-პეტერბურგის საშუალო სკოლაში. სვეტა შალვას ასული ბასარიას, რომელიც მოღვაწეობს მოსკოვში, მინიჭებული აქვს უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება.

დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობენ ექიმები: ზაირა შალვას ასული, გულნაზ კაპიტონის ასული, მანანა კაპიტონის ასული, მაყვალა კაპიტონის ასული, ხათუნა ჯემალის ასული, იზა იურას ასული, მანანა კაპიტონის ასული ბასარიები.

ჩვენი რაიონის მოსახლეობა დიდი სიყვარულით იხსენებს „ბასარიების მეფედ“ წოდებულ კაპიტონ ილარიონის ძე ბასარიას, რომელიც





მთავარ ბუღალტრად მუშაობდა ჯერ რაიონის სახელმწიფო დაწესებულებაში, შემდეგ გალის სოფლის კოოპერატივის გამგეობაში. პროფესიონალიზმით, კეთილსინდისიერებით გამოირჩეოდნენ სხვადასხვა ორგანიზაციის მთავარი ბუღალტრები: დავით, ირაკლი, დიმიტრი, ჟანრი ბასარიები და მრავალი სხვა.

წარმოების ხელმძღვანელად მუშაობდნენ გივი და ავთანდილ ბასარიები.

კარლო ილარიონის ძე ბასარია მუშაობდა იუსტიციის სამინისტროში, მისი შვილი, მერაბი იურისტია, მუშაობდა გამომძიებლად, დღეს საადვოკატო საქმიანობას ეწევა.

ტუნგოს დამზადების რაიონული პუნქტის პირველი უფროსი იყო ნიკოლოზ ბასარია, კაემირგაბშულობის რაიონული განყოფილების უფროსი იყო ალიანტი ბასარია. არ შეიძლება კაცმა გვერდი აუაროს ამ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის ცხოვრებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას: ალიანტმა და მისმა

მეუღლემ, ნატაშა ელბაქიძემ ქუჩაში, ერთ-ერთ სადესანტო ოპერაციის წარმატებით დამთავრების შემდეგ იქორწინეს.

აკადემიკოსი ვალერიანი (ზუხხა) იგონებს, რომ გალში მხოლოდ ერთადერთი ბიბლიოთეკა სამკითხველო იყო, (ეს მოგონება თარიღდება 1925 წლით, მას განკარგავდნენ ინგა და ირმა მამრიკოს ასული ბასარიები, აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „შარატინის“ სოლისტები). გალის რაიონული ანსამბლის მოცეკვავე იყო ოლია ბასარია (გასული საუკუნის 30-იანი წლები).

ბასარიების საგვარეულოს წარმომადგენლები ფეხბურთის დიდი ქომაგებიც იყვნენ. გასული საუკუნის 20-30-იან წლებში გალის, „სპარტაკის“ შემადგენლობაში თამაშობდნენ ვასო, ლეო და შოთა ბასარიები.

1941-1945 წლებში გუნდი დაიშალა, ფეხბურთელები ომში გაიწვიეს. ის აღსდგა 1946 წლის გალის „დინამოს“ სახელწოდებით. მის

ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის მათემატიკის მასწავლებელ შალვა ბასარიას, რომელიც კარგა ხანს გუნდის მწვრთნელიც გალხდათ. 50-60-იან წლებში მის შემადგენლობაში თამაშობდნენ ალექსანდრე და კოტე ბასარიები, შემდგომში ამ გუნდს გალის „მზიური“ ეწოდა და მის შემადგენლობაში თამაშობდა ბესიკ ბასარია.

ჩვენი საგვარეულოს ღირსეული ვაჟკაცები აქტიურად მონაწილეობდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, 30 ახალგაზრდიდან, რომლებიც ომში გაიწვიეს, 21 შინ არ დაბრუნებულა. უაზრო, ქართულ-აფხაზურ ძმათა მკვლელ ომს შეეწირა საგვარეულოს 6 წარმომადგენელი.

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის, ვალერიან აქირთავას მონაცემებით, ბასარიას გვარი XI-XII საუკუნეებიდან გვხვდება აფხაზეთში.

ღვთის შენეებით 22 მაისს დაინერა.

# ოთხი წერილი ქაჯრიაჩეს

ჩემო უწმიდესო და უნეტარესო, ჩემო პატრიარქო და მეუფეო

2016 წლის თებერვლის თვის №2(29) გაზეთში „გვარი და ტრადიცია“ დაიბეჭდა შემდეგი: ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში, რომელიც დამტკიცებულია მეფე ალექსანდრეს მიერ 1392 წლის 1 დეკემბერს, ვკითხულობთ სხვა მრავალ ეკლესია-სოფლებთან ერთად... არაგუს გაღმა მონასტერი ჯუარისა მამულითა, სოფელი ჯვარი, სოფელი ფოსი, სოფელი ჯაჭვი ეკუთვნის სვეტიცხოველს. ავჭალა მისითა მზღვარისა“ და 1447 წ. 26 დეკემბერს ზემოაღნიშნული კვლავ დაუმტკიცა სვეტიცხოველს მეფე გიორგიმ.

ჩვენს მიერ მოძიებულ იქნა კიდევ ერთი სიგელი ალექსანდრე მეფისა სვეტიცხოველისადმი, რომელიც თარიღდება 1439 წლით. დედანი ინახებოდა სინოდის კანტორის მცხეთის საბუთებში (№36)

იქვე დაცული იყო XVII საუკუნის პირი (№ რა 101).

ესე სანიშნოდ მოწსენებულ მტკიცე სიგელი მოგაწესნეთ თქუენ, ცათა მობაძავსა კათოლიკე საყდარსა მცხეთასა, თქუენსა საქეთმპყრობელსა, მღვდელმთავართ-მთავარსა, კ(ათალიკო)ზსა დავითსა და ყოველთა მცხეთისშვილთა.

ვიგულისმოდგინეთ ცოტა რ(აი) თამე ამით შემატება დიდებისა თქვენისა და მოგ(ა) წსენეთ ატენს, წინუბანს, ლომ(ა)შვილნი მისითა მამულითა, ეკლესი(ი)თა, სასაფლაოთა, სასახლითა, ველითა, ვენაჭითა, ჭურ-მარნითა, მთითა, ბარითა, წყალითა, წისქვილითა, საწნავითა, სათიბითა, მინდორითა, ნასყიდითა, უსყიდლითა, ნაწინდითა, საძებრითა და უძებრითა, საქმარითა და უჭმარითა, სულიერითა და უსულოთა, მისითა მიმდგომითა და სამართლიანითა სრულად უკლებლად. ყუელათა შეუვალად და თარხნად,

თუნიერ მალისა და ლაშქრობის-გან მეტი არა ეთხოვბოდეს არ(ა) ჩუენგან, არ(ა) ჩუენთა მოურავთა-გან და არ(ა) ჩუენის დარბაზის კართით წარვლენილთაგან.

დაინერა სიგელი და მოწსენებული ესე ჩუენი ინდიქციონსა მეფობისა ჩუენისასა კვ. სა, ქ(რონი) კონსა რკზ, ჴელითა ქადაგისძისა ვიგრისითა.

ხვეულად: ალექსანდრე დავამტკიცებ\*. „წელმონერილ არს და ძნელად წასაკითხია“ (K.2)

რაც შეეხება გვარს ლომაშვილს, მკითხველისათვის, რომ უფრო გასაგები იყოს, მოძიებულ საბუთში ლომ-ის შემდეგ ერთი ასო არ იკითხება, მხოლოდ იგულისხმება ასო ან ასო ი ლომ(ა)შვილი ან ლომ(ი) შვილი.

ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ მე, ნაზი ბალხამიშვილი, როგორც ავჭალის მკვიდრი და ლომიშვილებით შთამომავალი (ელენე

მიხეილის ასული ლომიშვილისა), თავს ვალდებულად ვთვლი წმიდა, რათა მზრუნველობა გამოვიჩინო შეძლებისდაგვარად.

ეს ინფორმაცია მსურს, რომ გავაცნო ზემო და ქვემო ავჭალის მოსახლეობას. განსაკუთრებით ლომიშვილების შთამომავლებს. ასევე ზემოთაღნიშნული სოფლებიდან ტყვეთ ნაყვანილი მოსახლეობის შთამომავლებს, რომლებიც ირანსა და თურქეთში... ცხოვრობენ და ჯერ კიდევ ახსოვთ წინაპართა გვარები.

უწმიდესო და უნეტარესო, გთხოვთ თქვენი ჩვეული გულისხმიერებმა გამოიჩინოთ ზემოხსენებული საკითხის მიმართ და თუ მართებულად ჩათვლით ჩვენს სურვილს დაგვლოცოთ, რათა თქვენმა დალოცვამ შემმაძლებინოს საქმის კეთილად დაგვირგვინება.

ჩვენ, ღვთის მადლით, თქვენს რჩევებს დაველოდებით.

# ავჭალის ლომიშვილ-ბერიტაშვილები



ავჭალის კოშკი

როგორც უკვე ავღნიშნეთ ამავე გაზეთის №2 ნომერში მეფე თეიმურაზ მეორემ ახალციხელ ბარნაბე სოლომონის ძე ლომაშვილს დაუტოვა ავჭალის ციხის უფროსობა, ავჭალის მთელი ტერიტორია, გარშემო სახნავ-სათესი, საძოვარი, ტყე და მინდვრები. უფლება მისცა ვინც უნდოდა დაესახლებინა და შეექმნა სოფელი, ლეკებისა და

სამშობლოს მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბარნაბემ კოშკის დამცველებსა და ტყვედ ყოფილებს შესთავაზა თავისუფალი არჩევანი, ვისაც სად სურდა წასვლა-დარჩენა. კოშკის მესხი დამცველებიდან ვინც ცოცხალი დარჩა ყველა დაბრუნდა მშობლიურ კუთხეში, გარდა ბარნაბეს უმცროსი ძმისა ალექსისა, რომელსაც „დობტურს“ ეძახდნენ, მან შეირთო ტყვედყოფილი სართიჭალელი ქალი. სართიჭალაში დასახლდნენ დობტურიშვილების გვარით. ალექსიმ თავისი ზედმეტი სახელი „დობტური“ გამოიყენა, როგორც თავის, ასევე შთამომავლების დასაცავად. დღევანდელი დობტურიშვილები ალექსი ლომაშვილის შთამომავლები არიან (ა. ლომიშვილი).

ხოლო დანარჩენი ტყვედყოფილი, ზოგი დაუბრუნდა თავის ოჯახს, ზოგმაც აირჩია თავის გამანთავისუფლებელთან ახლოს დასახლებულიყო ავჭალაში. ორმოცდარვა ტყვე ქალ-ვაჟთაგან 14 გვარის კაცი დარჩა ავჭალაში საცხოვრებლად და კოშკის ახლო-მახლო დასახლდნენ.

ავჭალის პირველი მაცხოვრებლები და დამცველები არიან ბარნაბე ლომაშვილიდა მისი

მეუღლე მარიამ ბერიტაშვილი, ამირანაშვილი, ბეკურაშვილი, ბუტიკაშვილი, კილაძე, რაზმაძე, ვერხვიაშვილი, სუხიშვილი, შამანაური, შუშანაშვილი, ჩახიძე, ჯაბიაშვილი, ჯანდაგური.

ამრიგად ავჭალის ლომიშვილების, ბერიტაშვილების, სართიჭალელი დობტურიშვილების და კახეთის ლომაშვილების გვარები ერთი შტოდან არიან და შთამომავალნი ახალციხელი სოლომონ ლომაშვილისა (ალექსი ლომიშვილი).

თუ მოგეპროვებათ დამატებითი მასალები და დოკუმენტები, გთხოვთ მოგვანოდოთ ჩვენი გაზეთის რედაქციის ნომრებზე, ან გამოგვიგზავნოთ ელექტრონულად.

1743 წელს ავჭალელი ქიტესა ჯაბიაშვილი ლეკების ერთ-ერთ თარემის დროს გაუტაციათ. მათ ტყვეობაში ყოფილა.

1756 წელს დალესტინის სოფლების ასაღებად კახეთის ჯარის შესვლისას ტყვეობიდან გამოპარულა, ჯარს გამოჰყოლია და 13 წლიანი ტყვეობის შემდეგ ოჯახში დაბრუნებულა.

წინათ აღდგომის მეორე დღეს იმართებოდა დიდი სახალხო დღესასწაული, ლხინი და სანახაობები, სადაც წესათ ჰქონდათ შეჯიბრი საჯილ-



დაო ქვის ანევაში. ხოლო ავჭალაში სცოდნიათ ძირს რომელიმე გულაღმა დაწოლილი კაცის თავს ზემოთ აწევა, რომელსაც შეჯიბრის მონაწილე, ძალის მომსინჯი კაცი შეუყრიდა ძირითად ხელებს და თავს ზემოთ უნდა აენია, ასე ძალის მოსინჯვა გადასწყვიტა ბარნაბე ალექსის ძე ლომიშვილმა—ბერიტაშვილმა, საუბედუროდ, აწევით კი ასნია, მაგრამ ორგანიზმში რალაც ჩასწყდა, სახლში მივიდა და გარდაიცვალა 25 წლის ასაკში. დარჩა მცირეწლოვანი შვილები, რომლებიც ბარნაბეს მამამ გაზრდა რძალთან ერთად. უფროსი ვაჟი ალექსი პაპის მოსახელე და მისივე აღზრდილი გამოირჩეოდა მახსოვრობის დიდი უნარით და წიგნის სიყვარულით. 1890–1905 წლებში იყო ავჭალის მამასახლისი. სარგებლობდა თანასოფლელების დიდი სიყვარულით განსაკუთრებით ახალგაზრდებისა, რომელთა შორის მისი გამოჩენა იწვევდა დიდ სიხარულს, როგორც ძველი ამბების კარგი მცოდნისა და მხატვრულად მოყოლისა. ის იყო ამ გვარების ცოცხალი ენციკლოპედია. დიდი ხუმარა კაცი იყო და არც სიკვდილის დროს ივიწყებდა ხუმრობას და როცა კვდებოდა სიკვდილს მიმართავდა: — რას მემუქრები და კბილებს მიკრიჭავ, სულიერთია არაფერს შეგეხვეწები და ვერც მომერევო. ას წელს გადაცილებული გარდაიცვალა 1932 წელს.

1751 წლის მეორე ნახევარში სამჯერ ამოწყვიტეს ქართველებმა შემოსული ლეკთა ჯარი. მეოთხედ სხვა ჯარი ლეკისა ავჭალას დაეცა, გაძარცვა და გაიქცა. ქართველთა ჯარი შემოიყარა თეიმურაზმა. ერეკლემაც მოუსწრო კახეთიდან. მარტყოფთან შეიყვარნენ და გამოედევნენ ლეკთა ჯარს. ივრის ნაპირას წამოეწივნენ და ორასი ლეკი მოჰკლეს, ას სამოცი ტყვედ აიყვანეს. ლეკთა ამ თარეშის დროს ერთი ავჭალელი კაცი მოიტაცეს საქონლისბინიდან, რომელიც სოფლიდან მოშორებული იყო. ლეკის ჯარი, რომ დამარცხდა, მოტაცებული ტყვე შეკრული გაიტაცა მომტაცებელმა ბრძოლის ადგილიდან და დაიშალა ტყეში. სამ დღეს იმალებოდნენ. მოშივდათ ტყვესაც და ლეკსაც. მოტაცებულს გუდაში საგზლად ედო ღორის სალა, ლეკი როგორც მუსულმანი, ღორის ხორცს ხელს არ ახლებდა, ტყვემ უთხრა: შენ არ ჭამ? მე მაინც მომეცი უფლება შეეჭამო! შენ თოფ—იარაღით ხარ, გამიხსენი ხელები სად გაგეცქევი, შიმშილით თუ მოკვდი შენ რა ხეირი გექნებაო. ლეკმა იფიქრა: — ისედაც დავზარაღდი, არც გზა ვიცი აქედან როგორ გავაღწიო, ესეც თუ მომიკვდა ხელცარიელი დავრჩები და შეიძლება მტრების ხელშიც ჩავვარდეთ. გაუხსნა ფეხი, ტყვემ ამოიღო ღორის სალა და დაიწყო მადიანად ჭამა. ლეკი მისი შემყურეს უფრო შეაწუხა შიმშილმა. ავჭალელმა უთხრა, ხომ არავინ გიყურებს აიღე ჭამეო. ლეკმა უთხრა ჩემი ნებით არ შეიძლება შეეჭამო, მაგრამ თუ ვინმე ძალას დამატანს მაშინ ღმერთი შემინდობს ამ ცოდვასაო, ამიტომ აიღე ჩემი ხანჯალი და სამჯერ მითხარი

ლეკო, ჭამე ლეკო, ჭამე, ლეკო ჭამე და მაშინ შეეჭამო. ავჭალელმა გამოართვა ხანჯალი, დაადგა თავთან და შეუძახა ლეკო, ჭამე ღორის ხორციო, ლეკმა უთხრა, არა ავჭალელმა დაუქნია ხანჯალი და ნააგდებინა თავი. ასე გაითავისუფლა თავი ავჭალელმა ტყვემ შემთხვევით შეხვედრილი ბრიყვი ლეკისაგან. წვრილ ლეკიანობის მომსწრე ოთარ თუმანიშვილის თქმით 1754 წლის 30 ივლისიდან 1755 წლის ივლისამდე მოუკლავთ ან გაუტაცნიათ 800—მდე კაცი და ქალი.

ლეკთა თითქმის არც ერთ შემოსევას ავჭალაში უკვალოდ არ ჩაუფ-



ივანე ბერიტაშვილი

ლია. 1755 წელს კიდედ შემოიჭრა ხუთასი ლეკი გამოიარა ავჭალა წაასხა საქონელი, შეიარა არმაზის წყალზე, ავიდა კავთისხევის ხანდაკს და ის შეყოლება, სადაც ციხეებს გარეთ რამე დაახელეს, ნახანდინეს, მოსპეს, ნაშოვარი ნაიღეს და ავიდნენ ატენის მთაში, იქიდან დაუწყეს რბევა გორის გარშემო სოფლებს. აი ამ ლეკთა ავჭალაში თარეშს შეეწირა ჩვენი დიდი წინაპარი ბარნაბე სოლომონის ძე ლომიშვილი. ეს იყო 1755 წლის 7 აგვისტოს. დაკრძალულია ავჭალის იოანე ნათლისმცემლის სახ. ეკლესიაში. (ა.ლომიშვილი) მისმა ვაჟმა სოლომონ ბარნაბეს ძე ბერიტაშვილმა (მას დედის გვარი ჩაუნერეს ნათლობისას და დარჩა დედის გვარზე, რადგან მამა ქრისტიანულად არ იყო იმ დროს მონათლული). 1765 წელს შეირთო ცოლი, რომელთანაც შეეძინა ოთხი ვაჟი: ვასილი, დავითი, ბესარიონი და იაკობი. ვასილისა და ბესარიონის შტო მოიხსენიება ბერიტაშვილებად, დავითი შედგა ბერად და იწოდებოდა გაბრიელად, რომელმაც თავისი კუთვნილი მამულები მიჰყიდა თავად გარაყანიძეს და ალექსანდრე ფული მოახმარა წმ. პეტრე მოციქულის ჯაჭვის თაყვანისცემის სახელობის ეკლესიის მშენებლობას. ის იყო დაყუდებული ბერი. (მამა გიორგი რაზმაძე მას უდაბნოს გვრიტს უწოდებს).

დღეისათვის წმიდა პეტრე მოციქულის ჯაჭვის თაყვანისცემის მართლმადიდებლური სახ. ეკლესია, მსოფლიოში არ არის. ერთი რომშია, სადაც დაცულია წმინდანის ჯაჭვები და ერთი ესპანეთში, ისიც კათოლიკური.

ლომიშვილი—ბერიტაშვილი დავით, გაბრიელ ბერო უდაბნოს გვრიტო, მლოცველო ჯაჭვთა თაყვანისმცემელი.

შეგინდე უმაღურობა, შურიდა მრუდხელობა, მოგვმადლე შენებრქველობა, რწმენა და ჯვართმტვირთველობა.

მადლობას გწირავთ ყოველი, ვისაც სწამს ღვთისა დიდება, კვლავაც დაგვლოცე მამაო, ავჭალას ჰქონდეს მშვიდობა.

ავჭალელ მოსახლეობას განსაკუთრებული სიყვარული აქვთ ამ წმიდა ადგილისა და წმიდანის მიმართ, 1995 წლის 20 მაისს, ავჭალელი მკვიდრის ელდარ ზაქარიას ძე ბუტიკაშვილის ინიციატივით, ავჭალის 120-ე სკოლას მინიჭებოდა



ვახტანგ ლომიშვილი

წმ. პეტრე მოციქულის სახელი, რაც დაგვირგვინდა პატრიარქის მიერ სკოლის კურთხევით. ამან დიდად გაახარა ავჭალელების გულები. როგორც იტყვიან ბოროტს არ სძინავსო დაგარკვეული დროის შემდეგ სკოლას გადაარქვეს წმიდანის სახელი.

ავჭალის მოსახლეობის სახელით და ამ გაზეთის საშუალებით მოგმართავთ: საქართველოს განათლების სამინისტროს ავჭალის 120-ე საჯარო სკოლას დაუბრუნოთ კვლავ წმ. პეტრე მოციქულის სახელი.

რაც შეეხება ავჭალელ ლომიშვილ—ბერიტაშვილების შთამომავლებს კვლავ აგრძელებენ წინაპართა ტრადიციებს.

ცხადია ყველას გმირობას ვერ მოვთხოვთ, მაგრამ დამეთანხმებოთ, რომ ნებისმიერ გვარს დაამშვენებდა მათი წარმატებული საქმეები: აკადემიკოსი ფიზიოლოგი ივანე სოლომონის ძე ბერიტაშვილი (მამა მღვდელი ყავდა). საქართველოს ფიზიოლოგიის სკოლის ფუძემდებელი, ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. ივანე პავლოვის სახელობის ფიზიოლოგთა, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ტვინი გამოკვლევის საერთაშორისო ორგანიზაციის, ამერიკის ელექტრო ენცეფალოგრაფიის აზოგადოების საპატიო წევრი და სხვა. მის კალამს ეკუთვნის 400-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, რომელთა დიდი ნაწილი თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. უამრავი ჯილდოს მფლობელი.

რაც შეეხება სპორტს, მრავალი გულშემატიკვარი გაახარა კახა ლომიშვილის წარმატებამ, რომელიც 1985 წ. მოიპოვა იტალიაში. მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ნიჩბოსტობაში (პირველად საქართველოს

ისტორიაში ამ სპორტში) დღეისათვის კახა ლომიშვილი საქართველოს ნაკრების მთ. მწვრთნელია და სამშობლოს არა ერთი წარმატებული სპორტსმენი აღუზარდა.

ქართულ ჭლიდაობას ჰყავდა ბრწყინვალე წარმომადგენელი ვანო ლომიშვილის სახით, რომლის კარიერა მეორე მსოფლიო ომმა შეინირა.

ქართულ ჭიდაობასა და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის არა ერთი წარმატება ჰქონდა მოპოვებული. ვახტანგ (ჭიხტანა დიაკვნინათი) ვლადიმერის ძე ლომიშვილს მჩატე წონაში. მწვრთნელი ილო ტყლაშაძე. 1963 წელს გამოდი-



კახა ლომიშვილი

ოდა რაიონის სპორტული საზოგადოების სახელით 1964 წ.

გარდაბნის რაიონის „კოლმეურნეს“ პირადგუნდურ პირველობაზე, დაიკავა პირველი ადგილი სადაც გადაეცა ფრიადოსნის დიპლომი ქართულ ჭიდაობაში, ასევე წარმატებით გამოვიდა XVIII – ოლიმპიურ თამაშებისადმი მიძღვნილ გუნდურ პირველობაზე.

მისი მრავალი სიგელებისა და დიპლომების ასლები ინახება ჩემთან (წ. ბალხამიშვილი). იგი გამოდიოდა გერმანიაში ქ. დრეზდენში გამართულ ჩემპიონატებში 1967, 68, 69 წლებში საბჭოთა ჯარის ჯგუფის სახელით თავისუფალი სტ. ჭიდაობაში. 1970 წელს მიღებული ტრამვის გამო, სრულიად ახალგაზრდა 23 წლის ასაკში გამოეთიშა სპორტს.

ვაჟა ჯემალის ძე ლომიშვილი — თადარიგის პოლკოვნიკი წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. თბე-ის 1991–92 წლების დეკემბერ—იანვრის მოვლენების დროს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას იგი მიძიმედ დაიჭრა და ღვთის მადლით სიკვდილს გადარჩა. ის მაშინ მუშაობდა თბილისის ხანძარსაწინააღმდეგო შტაბის უფროსის მოადგილედ, ხოლო შემდგომ გლდანის რაიონის საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსად.

სია საგრძნობლად დიდია და ყველას ვერ ჩამოვთვლით, რისთვისაც შენდობას ვითხოვთ. თუმცა ქალბატონებს მაინც შეგახსენებთ მაია ამირანის ასული ლომიშვილი — ფილოლოგი სრული პროფესორი, ხელოვნების დარგში ქეთევან ლომიშვილი და მაია ლომიაშვილი და სხვანი. ღრმერთმა დაგლოცოთ გაგამრავლოთ და გაგაძლიეროთ.





არი რას გვიყვება ერთ-ერთი კლინიკის მთავარი ექიმი თ. ნაცვლიშვილი: ნუგზარ თაბუნიძე „ოქროს ხელი“, რომელიც შვედის უამრავ გაჭირვებულ, დაავადებულ ხალხს, სულსა და გულს, მდიდარ ცოდნას აქსოვს ავადმყოფთა მკურნალობაში. იგი აღწევს მოკლე ხანში შედეგებს, რომლის შედარება არ შეიძლება ყველა იმ მეთოდებთან, რომლებიც აქამდე იხმარება სამედიცინო პრაქტიკაში, როგორც მედიკამენტოზური, ისე ფიზიო, ბალნეო, მექანო-თერაპია, სამკურნალო ფიზიოლოგია და სხვა.

მე პირადად სისტემატურად ვიტარებდი მკურნალობას ყველა ამ მეთოდით, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მივაღწიე.

ნუგზარ თაბუნიძესთან მხოლოდ მკურნალობის ერთი კურსის ჩატარების შემდეგ ვიგრძენი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, მომეხსნა ტკივილები წელისა და ფეხის არეში, გამინთავისუფლდა მოძრაობა მუხლის სახსარში, სადაც მქონდა გონართროზი. დიდ მადლობას ვუხდის ნუგზარს. მე დავრწმუნდი და ჩემი თვალთ ვნახე როგორ ამარცხებს: პროტრეზიას, დისკოპათიას, პროლაფს, ნერვის ანთებას, სინდრომებს და სხვა.

პაციენტი: ზაურ სიგუა - პაჭკორიები, თურმანიძეები, გავიცანი ნუგზარ თაბუნიძე, მათში გადმონერგილმა გენეტიკურ თვისება - ჯადოსნური მკურნალობისა, რომელსაც ფლობდნენ მოსინიკები, მესხები, თუბარელები, შემდგომში კოლხები დღესაც ცოცხლობს.

გარკვეულ წილად არ მიყვარს, არც კი მჯერა ნემსის, ლანცეტის, სკალპელის, ფარმაკოქიმიის.

კაცობრიობა განვითარების უმაღლეს საფეხურზე მყოფი, კვლავ უბრუნდება სანყის ეს დიალექტიკურია. რა ბედნიერი ხარ ბატონო ნუგზარ, რომ სათავეში დგახართ. თქვენ ჯადოსნუ-

# ფსუქიდან წამოსული ღაღადი

რი ინფორმაციის შენახვა, დაცვა და გამყარება გვევლება, ერისათვის ეს უდიდესი მისიაა.

ნემსი, ლანცეტი, სკალპელი, ფარმაკოქიმია, ჩვენი ცდომილების უმდაბლესი დონის შედეგია.

ვაი ჩვენ, ჩვენო თავო, რომ ასეთ კაცს არ აქვს პირობები და ხელშეწყობა, ისევე ჩვენს საკეთილდღეოდ. მკურნალობის მე-7 დღე, წელისა და ფეხის ტკივილი გაქრა. რაც მე ვიგრძენი არ არის ფანატიზმი, დუალიზმი, ესაა იდეის, სულის მატერიალიზაცია.

მკურნალობის საიდუმლოების ეფექტიურობის ყველაზე აშკარა ნიშანი ისაა, რომ არ დარჩენილა ძველი თუ ახალი თაობის, მთავრობის, პარლამენტის, სასულიერო ფენის ხელმძღვანელი თუ რიგითი პირები, რომ არ ემკურნალათ. მკურნალობენ მოხუცები, ახალგაზრდები, ქალები, ბავშვები, მამაკაცები, მწერლები, კომპოზიტორები, სპორტმენები - მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონები. მკურნალობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებმაც მოიარეს მრავალი მონინავე, განვითარებული ქვეყნები და რომ ვერ ეშველათ, შემდეგ მიდიან ნუგზარ თაბუნიძისგან მადლიერნი, უფლის ნებით და მადლით განკურნებულნი.

მიწვევა აქვს მრავალ განვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ არ მიდის. ამბობს: „ჩემი აქ ყოფნა განგებამ ისურვა და გამდიდრებისათვის და განდიდებისათვის არ გავჩენილვარ, აქ უნდა ვემსახურო ჩემს ხალხს“.

ნუგზარ თაბუნიძე როგორც უფროსი ვაჟი, მარტო ფლობს მკურნალობის საიდუმლოებას და ასევე ფლობს თამარ მეფის გარდაცვალების, ნაბრძანების და დაბრძანების ადგილსამყოფელს. ამბობს, რომ სულ ცოტა დარჩა და ალბათ გამოაქვეყნებს და იტყვის ამ საიდუმლო ადგილსამყოფელსაც, სადაც თამარ მეფის საფლავია.

დღეს საქართველოში, სხვადასხვა ადგილას შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც ვითომ ვითომ მკურნალობენ ნუგზარ თაბუნიძის სამკურნალო საშუალებებით, იყენებენ გამახურებელ, შხამიან მცენარეებს და ძირებს, ატყუებენ ადამიანებს, აი ეს არის თაბუნიძის მალამო, მაგრამ შხამიანი მცენარე სხვაა და სამკურნალო სხვაა. ბევრი ბუზი ბუზის მაგრამ თავს მხოლოდ ფუტკარი აკეთებს.

სიტყვა „თაბუნი“ - დიდი ქართველი ლექსიკოგრაფის - ივანე ჯავახიშვილისა და სულხან-საბა ორბელიანის, ძველი თბილისისა და საერთო ქართულ სიძველეთა მკვლევარი-პოეტი იოსებ გრიშაშვილის განმარტებით არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს „თაბუნი, ნახეთ აქიმი“. ამრიგად „აქიმი“ იგივე „ექიმი“ ყოფილა, საექიმო მიმდევრობა და საექიმო პროფესია, რომელიც გვართა და მემკვიდრეობით გადადიოდა უამიდან უამამდე და თაობიდან თაობაში მარტო უფროს ვაჟზე, ჯერ კიდევ წინარე ქრისტიანულ ცივილიზაციაში. ასულზე, დაძმებზე, ნათესავებზე არ გადადის.

თაბუნიძეებში ცოცხლად დაცული ტრადიცია მათი მესხური ვინაობისა მოგვითხრობს, რომ სამკურნალო ცოდნა ძველი მესხური ხალხური ცოდნაა და სრულად შესაძლებელია უფრო ძველი ფორმა ამავე გვარისა მაშინ ჩამოყალიბდა თაბუნიძეებად, როდესაც საქართველოში სიტყვა „აქიმი“ და „თაბუნი“ შემოვიდა და დამკვიდრდა პრაქტიკაში, თორემ მედეას ქვეყანა და მესხური მედიცინა, ბუნებრივია, არ დაელოდებოდა არაბებს, მკურნალობისა და ავადმყოფობის აღსანიშნავად საკუთარი სიტყვა და საკუთარი ლექსიკური ასახვა შემოშავებინა.

აქ ბუნებრივია უძველეს კოლხურ მედიცინასთან ერთად უფრო უძველეს, მესხურ მედიცინის რეალობასთან გვაქვს საქმე. მესხური მედიცინა, რომელიც შესაძლებელია გავაცნობიეროთ, როგორც უძველესი ქართული ცივილიზაციის ორგანული ნაწილი.

მესხური მედიცინა, ანუ ქართული წინაპართა და მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიისათვისაც იმ მოდემის მედიცინაა და ცივილიზაციაა საერთოდ, რომლებიც უკვე ბიბლიაში მოიხსენიებიან „მესხებად“. თავისი ტრანსკრიფციული სახესხვაობით, ჯერ კიდევ მოკლებულია სინათლეს, მოკლებულია მესხურ-კოლხურ ერთიანი ცივილიზაციის გაგებას, რომელშიც კვლევითა და შემეცნებით სწორედ „მესხური“ გვევლინება. უფრო ძველად მესხურ-კოლხური ერთიანი ცივილიზაციის უძველესი ექვივალენტი, სწორედ „მოსხური მაგია“ ანუ მცირეაზიური მოსხური წრის საიდუმლო ხელდასხმა, ნიშნავს ქრისტეს წინარე მეექვსე საუკუნისათ-

ვის უმაღლეს ზიარებას. იმ საიდუმლო ცოდნას, რომელიც სამყაროს უნივერსალურ შემეცნებას მედიცინასთან ამოთლიანებს. ამიტომ ქართველთა წინაპარი - მოსხური ტომები, რომლებიც განსახლებულნი არიან ტიგროსისა და ევფრატის სათავეებამდე და ტრაპიზონამდე ტაო-კლარჯეთის ჩათვლით, ძველი კოლხეთის საიდუმლო, ვარსკვლავთმრიცხველურ და გრძელეულ ცოდნასთან ერთად ქმნიან მოსხურ ვარსკვლავთმრიცხველურსა და გრძელეულ ცოდნასაც.

ასე გადაიქცა მოსხურ-კოლხური სიბრძნის მეტყველება და მედიცინაც დიდი დასავლეთის საზრდოდ და საფუძვლად. ასე დარჩა გაფანტული მისი ნამსხვრევები მესხთა და კოლხთა საგვარეულო შთამომავლობაში, მედიცინის სახით. ერთ-ერთი წარმომადგენელი ამ მემკვიდრეობისა ნუგზარ თაბუნიძის მოდგმა გახლავთ.

სწორედ მისი მალამოა, თაბუნიძეთა მალამო - ერთადერთი, სხვები, ახლობლები თუ შორელები მას ვერ დაამზადებენ და ტყუილად იბრალებენ.

რაც შეეხება წმინდა ისტორიულ-მეცნიერულ გაგებას, პავლე ინგოროყვა დასკვნის სახით გვანვდის ფორმულირებას ბაგრატიონთა ისტორიული წარმომავლობისა მესხეთის მხარეებიდან: „კლარჯეთის სახლიდან“ ისინი მანამ, სანამ სამეფო ტახტზე პრეტენზიის გამოცხადებასთან მივიდოდნენ, გვევლინებიან როგორც „პიტაიანები“, ანუ მართლმადიდებელი მთავრები მესხეთის მხარეებისა და არიან ნათესავნი საქართველოს სამეფოს ფარნავაზიანთა დინასტიისა, სწორედ ბაგრატიონთა მშვეფების ექიმები იყვნენ თაბუნიძეები - ლ. მროველი ომებშიც ერთ გუნდათ შეკრულნი გვერდში ედგნენ მეფის ამალას, სადაც იქნდნენ უამრავ ამხანაგს და მეგობრებს.

დღეს ნუგზარ თაბუნიძე მათი უშუალო სამკურნალო საშუალებების გამგრძელებელი, უკვე 50 წელზე მეტია თბილისში ცხოვრობს, ვაკეში წყნეთის ქუჩაზე, კორპუს 3-ში. ტელ: 599 22 11 66 და მკურნალობს ოპერაციის გარეშე ოსტეოქონდროზს, ართრიტებს, ნერვის ანთებას, პროტრეზიას, ხერხემლის თიაქარს, პროლაფს, რადიკულიტს, სახსრებისა და ხერხემლის დაავადებებს.

## აკითხველთა საყურადღებოდ!

მონოდებული მასალების შინაარსზე და ფაქტების სისწორეზე რედკოლეგია პასუხს არ აგებს.

## ყველა საგვარეულო კავშირს, ყველა წინამძღოლს, ყველას ვინც ერთგულია საგვარეულო მოძრაობის, ვინც საკუთარი გვარის პატრიოტი

გთხოვთ ითანამშრომლოთ გაზეთ „გვარი და ტრადიციასთან“, მოგვანოდეთ მასალები (სტატიები, ინფორმაციები, ფოტოები) საგვარეულო კავშირების შესახებ, საგვარეულო მოძრაობის, საქართველოს დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ, აგრეთვე ეროვნულობის და მართმადიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემატურ საკითხებზე, ვიზრუნოთ საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ და გვარის წინამძღოლთა დარბაზის მატერიალურ-ფინანსურ და ტექნიკური ბაზის განმტკიცება განვითარებისათვის. მასალები გამოგვიგზავნეთ E-mail: [vaja39@mail.ru](mailto:vaja39@mail.ru)

### ჩვენი რეკვიზიტები

ISSN 2449-2280

გაზეთის ელექტრონული ვერსია იხილეთ:

[www.dspace.nplg.gov.ge](http://www.dspace.nplg.gov.ge)

### ჩვენი რეკვიზიტებია:

სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის ფონდი  
ს/კ 404953154  
ბანკი: „რესპუბლიკა“ ბანკი  
ა/ა **GE51BR0000010385861378**

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი

საკონტაქტო ტელეფონები:

790770871; 593 531 950

### სარედაქციო კოლეგია

ლევან ფრუჩია

ვაჟა ნადირაშვილი

თინათინ მანუჩარაძე

მერაბ ლეკვიშვილი

ნინო სულამანიძე

ტელ: 599 90-26-01

ტელ: 599 97-41-90

ტელ: 577 41-02-00

ტელ: 592 12-34-56

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი  
საკონტაქტო ტელეფონი: 790770871